„ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა“
ერთობლივი საქმიანობის (ინდივიდუალური ბინათმშენებლობის) ამხანაგობის შესახებ

ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ამხანაგობა“ -- ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა
„ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი“ -- პირები, რომლებიც ხელს აწერენ ამ სადამფუძნებლო ხელშეკრულებას საერთო მიზნის მისაღწევად.
„ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრი“ -- ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც გაწევრიანდება ამხანაგობაში საცხოვრებელი და/ან არასაცხოვრებელი ფართის აშენების მიზნით.
„წარმომადგენელი“ -- ფიზიკური პირი, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილების საფუძველზე წარმოადგენს ამხანაგობის წევრს საერთო კრებაზე (ან წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ურთიერთობაში).
„ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება“ -- (შემდგომში – საერთო კრება) ამხანაგობის უმაღლესი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ამხანაგობის საქმიანობის შესახებ. საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად ამხანაგობის ყველა წევრისათვის.
„შენატანი“ -- ფულადი სახსრები, მოძრავი ან უძრავი ქონება, ან უფლებების და ვალდებულებების ერთობლიობა, რომლებსაც ამხანაგობის დამფუძნებლები (წევრები) გადასცემენ საკუთრებაში ამხანაგობას.
„წილი“ -- ამხანაგობის ქონების და ფინანსური სახსრების ის ნაწილი, რომელზედაც საკუთრების უფლებას იძენს ამხანაგობის წევრი.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მიზანი.
სამართლებრივი სტატუსი.
სახელწოდება:

1.1. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი, №1-ში და №3-ში მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამხანაგობის წევრთა თანასაკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა.

1.2. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მოიცავს, შენობის სრული კარკასის ალმართვას, ყველა აუცილებელი კომუნიკაციების მიერთებას, გარე ფასადის შელესვას, შეღებვას და საერთო სარგებლობის ფართების (კიბის უჯრედები, სახურავი) მოპირკეთებას, მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრზე შემოღობვას და საპროექტო რეკომენდაციით გათვალისწინებულ ყველა სამუშაოს შესრულებას.

1.3. დასახული მიზნის განსახორციელებლად მხარეები ქმნიან ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობას, იურიდიული პირის შეუქმნელად, რომელიც ფუნქციონირებს და მოქმედებს ამ ხელშეკრულების დებულებებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

1.4. მესამე პირებთან ურთიერთობის გამარტივებისა და იდენტიფიკაციის მიზნისათვის, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობას ეწოდება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ბაგები-2007“ (შემდგომში მოიხსენიება, როგორც „ამხანაგობა“).

1.5. „ამხანაგობის“ მართვის ორგანოს ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №10ა

2. შენატანები „ამხანაგობაში“

1. „ამხანაგობის“ მიზნის მისაღწევად ამხანაგობის წევრები (ფიზიკური პირები) განახორციელებენ შენატანს ამხანაგობაში მათ საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთებით, შენობა-ნაგებობებით და მომსახურებით, ხოლო „ამხანაგობის“ წევრის შპს „მოდული“-ს შენატანს წარმოადგენს ვალდებულებები და მომსახურება, რაც გამოიხატება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის თავისი რესურსებით აშენებაში (დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით) და ექსპლუატაციაში მიღების ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური და ფინანსური საკითხების გადაწყვეტაში.

2.2. ი.ბ.ა. „ბაგები-2007“-ის დამფუძნებელი წევრის ციცინო დონდუაშვილის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენს მიწის ნაკეთი რომლის მახასითებლებია სარეგისტრაციო ზონა თბილისი, კოდი 1, სექტორი ვაკე, კოდი 14, კვარტალი 8, ნაკვეთის №5/17, ფართობი 269 კვ.მ, მისამართი (ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონში) წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი №1 ნაკვეთის წინა №5/10, ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო, უფლება- საკუთრება, შენობა-ნაგებობა №1, ხოლო ნაგებობები №2, №3, №4 და №1-ში 24,18 კვ.მ – უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, მიწის სარეგისტრაციო №1/14/8/5/17, განაცხადის რეგისტრაციის №20746/2005, თარიღი 16.05.2005 გაცემული 19.03.2007წ. დანართი: საკადასტრო რუკა. ქონება არ არის დაყადაღებული, თანახმად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობისა 19.03.2007წ, რეგისტრაციის №ყად-31085

დამფუძნებელი წევრის ციცინო დონდუაშვილის ამხანაგობაში შენატანის ღირებულება განსაზღვრულია 137 000 (ას ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

2.3. დამფუძნებელი წევრების ლალი ოქიტაშვილის და გელა ოქიტაშვილის შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენს მიწის ნაკვეთი რომლის მახასიათებლებია ზონა თბილისი, კოდი 01, სექტორი ვაკე, კოდი 14, კვარტალი 08, ნაკვეთის №05/023, ფართობი 772.00(დაზუსტებული) კვ.მ, მისამართი ქ. თბილისი წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი №3 ნაკვეთის წინა №5, შენობა ნაგებობების საერთო ფართი 48.83 საცხოვრებელი ფართი 22.44. სამეურნეო ფართი 9.43, უფლ. დამ. დოკ-ის გარეშე არსებული შენობა ნაგებობის ჩამონათვალი: №1–ში დამხმარე ფართი 20.43 კვ.მ საზაფხულო ფართი 12.69 კვ.მ ასევე №2, №3, და №4, საკუთრების ტიპი საერთო საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო სამეურნეო, მესაკუთრე გელა ოქიტაშვილი 2/3 ნაწილი, ლალი ოქიტაშვილი 1/3 ნაწილი, რაც დასტურდება 1) ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/14/08/05/023; უფლების რეგისტრაციის №05583/2007-18/01/2007, გაცემული 21.03.2007წ

უძრავი ქონება რომლის 2/3- ნაწილის მესაკუთრეა გელა ოქიტაშვილი არ არის დაყადაღებული, თანახმად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობისა 21.03.2007წ, რეგისტრაციის №ყად-31660

2) ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01/14/08/05/023; უფლების რეგისტრაციის №05583/2007-18/01/2007, გაცემული 20.03.2007წ

უძრავი ქონება რომლის 1/3 ნაწილის მესაკუთრეა ლალი ოქიტაშვილი არ არის დაყადაღებული, თანახმად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობისა 20.03.2007წ, რეგისტრაციის №ყად-31410

დამფუძნებელი წევრის, ლალი ოქიტაშვილის, საკუთრებაშია მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების 1/3, ხოლო გელა ოქიტაშვილის საკუთრებაშია – 2/3.

დამფუძნებელი წევრების, ლალი და გელა ოქიტაშვილების, ამხანაგობაში შენატანის ღირებულება განსაზღვრულია 229 000 (ორას ოცდაცხრა ათასი) ლარის ოდენობით.

2.4. დამფუძნებელი წევრის, ამხანაგობის თავმჯდომარის მერაბ ჯანელიძის, შენატანი ამხანაგობაში არის მომსახურება.

2.5. დამფუძნებელი წევრის შ.პ.ს. „მოდული“-ს შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენს ვალდებულებები, რაც გამოიხატება:

- საცხოვრებელი კორპუსის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება-დამტკიცებაში (მშენებლობის ნებართვის ჩათვლით);
- საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაში;
- მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრზე შემოღობვაში და ეზოს მოპირკეთებაში;
- საცხოვრებელი კორპუსის ექსპლუატაციაში შეყვანაში;
- საცხოვრებელი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღების ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური და ფინანსური საკითხის გადაწყვეტაში;
- ამხანაგობის მიწის ნაკვეთის გადასახადის აღსრულებაში ყოველწლიურად;
- მშენებლობის დამთავრებამდე (18 თვე), შენობის ექსპლუატაციაში შეყვანამდე, ბინის ქირის გადახდაში:

ციცინო დონდუაშვილი – 300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში;
ლალი ოქიტაშვილი – 300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში;
გელა ოქიტაშვილი – 300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

ქირის თანხა შეიძლება იყოს კორექტირებული საჭიროების შემთხვევაში.

2.6. ამხანაგობის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ვადის გადაცილების შემთხვევაში შ.პ.ს. „მოდული“ გადაუხდის დამფუძნებელ წევრებს ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრული მიწის ნაკვეთების ღირებულების 1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე. ექვსი თვის შემდეგ კი შ.პ.ს. „მოდული“ გადაუხდის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების (იხ. 3.1.) საბაზრო ღირებულებას იმ დროისათვის არსებული ფასების მიხედვით.

3. „ამხანაგობის“ წევრების წილები

3.1. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების საკუთრება ახალაშენებულ საცხოვრებელი სახლში განისაზღვრება შემდეგნაირად:
– ციცინო დონდუაშვილი – 270 კვ.მ (მათ შორის 40 კვ.მ პირველ საცხოვრებელ სართულზე) საერთო საცხოვრებელი ფართი და 2 (ორი) ავტოსადგომი. ფართობები აიზომება შიდა პერიმეტრით საზაფხულო ფართობების გარეშე;
– ლალი ოქიტაშვილი – 150 კვ.მ საერთო საცხოვრებელი ფართი და 1 (ერთი) ავტოსადგომი. ფართობები აიზომება შიდა პერიმეტრით საზაფხულო ფართობების გარეშე;
– გელა ოქიტაშვილი – 330 კვ.მ საერთო საცხოვრებელი ფართი და 3 (სამი) ავტოსადგომი. ფართობები აიზომება შიდა პერიმეტრით საზაფხულო ფართობების გარეშე;
– მერაბ ჯანელიძე (ამხანაგობის თავმჯდომარე) – 1 (ერთი) ოროთახიანი ბინა.

3.2. ასაშენებელი მრავალბინიანი კორპუსის საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული დანარჩენი ფართობები და ავტოსადგომები წარმოადგენს შ.პ.ს. „მოდული“-ს საკუთრებას.

3.3. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს: ციცინო დონდუაშვილს, ლალი ოქიტაშვილს, გელა ოქიტაშვილს, ამხანაგობის თავმჯდომარეს მერაბ ჯანელიძეს – განსაზღვრული ფართები გადაეცემათ ე.წ. „თეთრ კარკასში“:

- ბინის შესასვლელში რკინის კარი (მეპატრონის საკეტებით);
- გარე პერიმეტრზე მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა;
- გამყოფი ტიხრები მეპატრონის მოთხოვნის გათვალისწინებით;
- შიდა ელ.გაყვანილობა;
- კედლები გაჯით გალესილი;
- მოჭიმული იატაკი;
- ვენტილაციის დგარები, ცენტრალურ მაგისტრალურ ხაზებთან მიერთებული წყლისა და კანალიზაციის დგარები;
- გაზიფიკაცია.

4.4. ფართების განსაზღვრა სართულების და ბინების მიხედვით განხორციელდება არქიტექტურული პროექტების დამტკიცების შემდეგ.

4. „ამხანაგობის“ მმართველი ორგანოები.

4.1. სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის თვალსაზრისით, „ამხანაგობის“ წევრები იყოფიან ორ ჯგუფად: „დამფუძნებელი წევრები“ და „ჩვეულებრივი წევრები“.

4.2. „დამფუძნებელ წევრებს“ განეკუთვნებიან ამ ხელშეკრულების ხელმომწერი პირები, რომელთა ინიციატივითაც შეიქმნა ამხანაგობა.

4.3. „ჩვეულებრივი წევრები“ იქნებიან ის პირები, რომლებიც გაწევრიანდებიან „ამხანაგობაში“ საცხოვრებელი ფართის აშენების მიზნით.

4.4. „ამხანაგობის“ მმართველი ორგანოები:
- „ამხანაგობის“ დამფუძნებელთა საერთო კრება;
- „ამხანაგობის“ თავმჯდომარე.

5. „დამფუძნებელ წევრთა“ კრება

5.1. „დამფუძნებელ წევრთა“ საერთო კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ, „ამხანაგობის“ თავმჯდომარის მოთხოვნით ან დამფუძნებელ წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით.

5.2. „დამფუძნებელ წევრთა“ კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

5.3. „დამფუძნებელ წევრთა“ კრება იღებს გადაწყვეტილებას სიობრივი უმრავლესობით.

5.4. „დამფუძნებელ წევრთა“ კრების კომპეტენციას განეკუთვნება:
- თავმჯდომარის გამოძახება და/ან ახალის არჩევა;
- წევრის გარიცხვა;
- ასაშენებელი სახლის ფართების შეცვლის (დამატების) წინადადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

5.5. „ამხანაგობის“ ჩვეულებრივი წევრები უფლება-მოსილნი არიან დაესწრონ „დამფუძნებელ“ წევრთა კრებას სათათბირო ხმით.

6. „ამხანაგობის“ თავმჯდომარე

6.1. „ამხანაგობის“ მმართველ (აღმასრულებელ) თანამდებობის პირს წარმოადგენს ამხანაგობის თავმჯდომარე;

6.2. ამხანაგობის თავმჯდომარის ფუნქციებია:
- ამხანაგობაში ახალი წევრის მიღება „ჩვეულებრივი წევრის“ სტატუსით;
- „ამხანაგობის“ მიმდინარე საქმეების მართვა და ხელმძღვანელობა;
- ურთიერთობების წარმართვა სამშენებლო კომპანიებთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის განხორციელებისათვის;
- „ამხანაგობის“ საფინანსო საქმიანობის წარმართვა;
- ამხანაგობის წევრთა ინფორმაციული უზრუნველყოფა „პროექტის“ მიმდინარეობის შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში „ამხანაგობის“ დამფუძნებელ წევრთა კრების მოწვევა;
- „ამხანაგობაში“ შენატანების ოდენობისა და წილების განსაზღვრა;
- „ამხანაგობის“ წევრთა შორის წილობრივი საკუთრების განსაზღვრა და იდენტიფიკაცია;

6.3. იგი უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს „ამხანაგობა“ ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სასამართლოში და კერძო არბიტრაჟში.

6.4. „ამხანაგობის“ თავმჯდომარე ხსნის ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში და უფლებამოსილია მათ განკარგვაზე;

6.5. „ამხანაგობის“ თავმჯდომარე ხელს აწერს „ამხანაგობის“ სახელით ნებისმიერ გარიგებას დამფუძნებელ წევრებთან შეთანხმებით.

7. „ამხანაგობის” ფინანსური საქმიანობა

7.1. „ამხანაგობის“ ფინანსური საქმიანობა ხორციელდება საფინანსო სფეროში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

12. „ამხანაგობის“ საფინანსო საქმიანობას ხელმძღვანელობს ამხანაგობის თავმჯდომარე.

8. „ამხანაგობის“ წევრთა შორის წილის განსაზღვრის მექანიზმი

8.1. „ამხანაგობის“ წევრთა ძირითად მიზანს წარმოადგენს დასრულებულ შენობაში განსაზღვრული ოდენობის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის საკუთრებაში მიღება. შესაბამისად, ამხანაგობის წევრთა შორის წილთა გადანაწილება გამოისახება საკუთრებაში მისაღები ფართების მიხედვით.

8.2. „ამხანაგობის“ თავმჯდომარე ქმნის ამხანაგობის წევრთა შორის წილობრივი განაწილების მექანიზმს, არასაცხოვრებელი ფართების პირობითი იდენტიფიკაციით, რომელზედაც საკუთრების უფლებას მოიპოვებს შესაბამისი წევრი, შენობის აშენების შემდეგ; „ამხანაგობის“ წევრთა შორის ფართების განაწილებაში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება ამხანაგობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით და რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში.

9. „ამხანაგობის“ წევრები და მათი ძირითადი უფლება-მოვალეობები

9.1. „ამხანაგობის“ თითოეული წევრი, საკუთარი ფართის განკარგვისას, ვალდებულია დაიცვას შენობის არქიტექტურული პროექტი და ისეთი ქმედება არ ჩაიდინოს, რაც გამოიწვევს პროექტის დარღვევას, განსაკუთრებით შენობის გარე ფასადს.

10. „ამხანაგობის“ წევრის წილის განკარგვა

10.1. „ამხანაგობის“ წევრის მიერ წილის გასხვისებისას „დამფუძნებელი წევრები“ სარგებლობენ წილის შეძენის უპირატესი უფლებით.

10.2 წილის ახალი შემძენი ვალდებულია დაეთანხმოს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიიღოს მასში გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობები. წილის შემძენზე გადადის ყველა ის ვალდებულება, რაც წილთან დაკავშირებით გააჩნდა წინა წევრს.

10.3 ფიზიკური პირის წილის გასხვისების შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლება ეძლევა წევრს.

11. „ამხანაგობიდან“ გასვლა

11.1. ნებისმიერ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს “ამხანაგობიდან“, რაც არ გამოიწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

11.2. „ამხანაგობიდან“ გასვლის მსურველმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს „ამხანაგობის“ თავმჯდომარეს, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას წევრის „ამხანაგობიდან“ გასვლის შესახებ. ამგვარი გადაწყვეტილება წევრის „ამხანაგობიდან“ გასვლის შესახებ მიღებული უნდა იყოს განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 45 დღის განმავლობაში.

11.3. წევრს გასვლის შედეგად უკან დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი შენატანები, იმ ხარჯების გამოკლებით, რაც აუცილებელია გასვლის რეგისტრაციისათვის. ამხანაგობა, უფლებამოსილია დააყოვნოს უკვე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, გასვლის შედეგად გამოთავისუფლებული ფართის შემდგომ განთავსებამდე.

12. ერთობლივი საქმიანობის ვადა

12.1. წინამდებარე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდება მას შემდეგ, როდესაც: ა) დასრულდება შენობის მშენებლობა; ბ) იგი მიღებული იქნება ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით; გ) ყველა წევრი რეგისტრირებული იქნება თავისი წილობრივი მონაცემების შესაბამისად, როგორც შესაბამისი უძრავი ქონების მესაკუთრე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში და სრულად იქნება შესრულებული წევრების ფინანსური ვალდებულებები „ამხანაგობის“ მიმართ.

12.2. ამ „ამხანაგობის“ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, წევრები განიხილებიან, როგორც თანამესაკუთრეები და კისრულობენ ვალდებულებას გააფორმონ

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის №1-1296

საქართველო

ორიათას შვიდი წლის ოცდაორ მარტს, მე სოხუმის რაიონის ნოტარიუს სოსო მუმლაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი ჟ. შარტავას 42, მომმართეს ქ/ბატონებმა მერაბ ჯანელიძემ, ციცინო დონდუაშვილმა, ლალი ოქიტაშვილმა, გელა ოქიტაშვილმა და იურიდიული პირის შ.პ.ს. „მოდული“-ს(რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 23/07/2004, რეგ №5/4-4139, ცვლილება 19/07/06წ რეგ №6677/006-5/4-4139 შ.პ.ს. ცვლილება რეგისტრიტრირებულია ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი შ.პ.ს. „მოდული“-ს შესახებ გაცემული 13.03.2007წ, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ) დირექტორმა რევაზ ჟღენტმა. მათ მოითხოვეს ამხანაგობა „ბაგები-2007“-ის სადამფუძნებლო ხელშეკრულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად.

მერაბ ჯანელიძემ (დაბადებული 29.08.1941წ. თბილისში, პ/მ №0191317 პირადი №01024011208 გაც 14.07.1998წ. თბილისის მთაწმინდის შს. სამმართველოს მიერ, უვადოდ. მცხოვრები ქ. თბილისი, რჩეულიშვილის ქ. მე/5 კორპ, ბინა 6),

ციცინო დონდუაშვილმა (დაბ. 22.10.1967წ. ბაგებში, მცხოვრები თბილისი, ბაგები წყნეთის გზ, მე-2 ჩიხი, ბინა №1 პირადობის მოწმობის № გ 0663152, პირადი №01008034005, გაცემული ვაკის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ, 28.03.2005წ, მოქმედების ვადა 28.03.2025წ,)

ლალი ოქიტაშვილმა (დაბ. 08.02.1961წ. სამგორის რაიონში, მცხოვრები თბილისი, წყნეთის გზატკ. 2 ჩიხი 3 პირადობის მოწმობის № ა0191968, პირადი №01008016634, გაცემული თბილისის ვაკის რ/ის შ.ს. სამმართველოს მიერ , 08.07.1998წ, მოქმედების ვადა 08.07.2018წ,

გელა ოქიტაშვილმა (დაბ. 06.10.1964წ. გარდაბნის რაიონში, მცხოვრები თბილისი, წყნეთის გზატკ. 2 ჩიხი 3 პირადობის მოწმობის № ა 0582855, პირადი № 01008031425, გაცემული თბილისის ვაკე-საბურთალოს საპასპორტო განყოფილების მიერ , 26.10.2004წ, მოქმედების ვადა 26.10.2024წ,) ;

იურიდიული პირის შ.პ.ს. „მოდული“-ს დირექტორი რევაზ ჟღენტმა (დაბადებული 05.11.1961წ, თბილისში, მცხოვრები ქ.თბილისი დ.გურამიშვილის 19 ბ-14, პირადი №01019020706, პ/მ №ა0385261 გაცემული თბილისის გლდანი-ნაძალადევის შ.ს.ს.-ს მიერ, 10.12.2002წ მოქმედების ვადა 05.11.2007 წელი) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მათ განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რასაც ვამოწმებ.

ნოტარიუსის საზღაური: 894 (რვაას ოთხმოცდა თოთხმეტი) ლარი და 50 თეთრი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონი, 11 ივნისი, 1998 წ. №1417 II ს, მუხლი 22-ე)

ნოტარიუსი სოსო მუმლაძე

ურთიერთშორის შესაბამისი ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ამ ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები თავისუფლდებიან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებისაგან, გარდა ბინის ქირისა, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელთა გადაწყვეტა მათ ძალებს აღემატება.

13.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებებს მიეკუთვნებიან:

- სტიქიური უბედურებები: მიწისძვრა, წყალდიდობა, დამანგრეველი გრიგალი;
- სახელმწიფო ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ან ადმინისტრაციული აქტების მიღება, რომელიც შეუძლებელს გახდის „პროექტის“ განხორციელებას.
- სახელმწიფოს მიერ, საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, სათანადო პირობების არსებობისას, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება.

14. დავის გადაწყვეტა

14.1. ამ ხელშეკრულების მოქმედებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადაო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით და კონსენსუსის გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს ან კერძო არბიტრაჟის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან და ექვემდებარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში საჯალდებულო რეგისტრაციას.

15.2. ამ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე და უნდა იქნან წარდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს.

15.3. მხარეთა შორის ყველა საკითხი წყდება ურთიერთმოლაპარაკებით, შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში კი – საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

15.4. წინამდებარე სადამფუძნებლო ხელშეკრულება შედგენილია ოთხ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს სოსო მუმლაძის სანოტარო ბიუროს არქივში, მეორე წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემა ამხანაგობის თავმჯდომარეს.

დამფუძნებელი წევრები

მ. ჯანელიძე

ც. დონდუაშვილი

ლ. ოქიტაშვილი

გ. ოქიტაშვილი

შ.პ.ს. „მიღული“-ს
რ. ჟღენტი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130669841
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.07.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ძლიერიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა 6
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2380435
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	25738018393513

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსს ქეთევან ძლიერიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში,
რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა №6,
მ ო მ მ ა რ თ ა
მოქალაქე მერაბ ჯანელიძემ (დაბადებული 29.08.1941წ. თბილისი, პირადობის მოწმობა №დ 0191317 პირადი №01024011208 გაც. 14.07.1998წ. მთაწმინდის შს სამმართველოს მიერ, მცხ. მცხ. თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 5 ბ. 6)
მან წარმოადგინა შვიდ გვერდიანი დოკუმენტი ხელშეკრულება ერთობლიბი საქმიანობის (ინდივიდუალური ბინათმშენებლობის) ამხანაგობსი შესახებ. ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული ნოტარიუს სოსო მუმლაძის მიერ 22.03.2007ე რეგ#1-1296
მე ნოტარიუსმა, ქეთევან ძლიერიშ ვილმა შევამოწმე წარმოდგენილი დოკუმენტის ფოტოასლის შესაბამისობა დედანთან და დავრწმუნდი რომ, იგი ნამდვილად შეაასაბამება წარმოდგენილი დოკუმენტის დედანს, რასაც ვამოწმებ.
გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: სამი (3) ლარი და ორმოცდაათი (50) თეთრი. თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ სამოცდასამი (0.63) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ: 4.13 ლარი.

ნოტარიუსი ქ. ძლიერიშვილი

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის
ამხანაგობა "ბაგები-2007 – ის
დამფუძნებელ წევრთა კრების

ო ქ მ ი № 1

ქ. თბილისი 15 აპრილი 2007 წელი

<u>კრებას ესწრებოდნენ:</u> ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ჯანელიძე (ამხანაგობის წევრის იურიდიული პირის შ.პ.ს. "მოდული" – ს წარმომადგენელი).

<u>ამხანაგობის წევრები:</u> ც. დონდუაშვილი, ლ, ოქიტაშვილი, გ. ოქიტაშვილი.

<u>კრების თავმჯდომარე:</u> მ. ჯანელიძე

<u>კრების მდივანი:</u> ც.დონდუაშვილი

<u>დღის წესრიგი:</u> ამხანაგობის დასახილების შეცვლა.

<u>მოისმინეს:</u> ამხანაგობის თავმჯდომარის მ. ჯანელიძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ . ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციამ არ გაატარა რეგისტრაციაში ამხანაგობა "ბაგები-2007", ვინაიდან აღნიშნული დასახელებით უკვე რეგისტრირებულია სხვა ამხანაგობა. აქედან გამომდინარე უნდა შეიცვალოს ამხანაგობის დასახელება.

ბ-ნმა მ. ჯანელიძემ შემოიტანა წინადადება.

<u>დაადგინეს:</u> შეიცვალოს ამხანაგობა "ბაგები-2007" – ის დასახელება და ეწოდოს მას – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ახალი ბაგები".

კრების თავმჯდომარე მ. ჯანელიძე

კრების მდივანი ც. დონდუაშვილი